ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს აფრიკელი ჭაბუკები, რომლებსაც თქვენ სურათზე ხედავთ თავიანთ საბჭოთა მეგობრებთან ერთად, სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან სსრ კავშირში.






ფურცელი 2

საბჭოთა კავშირი, რომელიც ლენინური ანდერძის ერთგულია, უანგარო, ძმურ დახმარებას უწევს აფრიკის ხალხებს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ხოლო იმ ქვეყნებს. რომლებმაც უკვე დააღწიეს თავი კოლონიურ უღელს, ეხმარება ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ათასობით აფრიკელი ყოველ წელს ჩამოდის სასწავლებლად მსოფლიოში პირველ სოციალიზმის ქვეყანაში.

მსოფლიოში პირველი კოსმონავტი მფრინავი იური გაგარინი გულთბილად მიესალმება აფრიკის შვილს.

საქდესის ფოტოქრონიკა




მშვიდობა დამყარდა მრავალტანჯული ალჟირის მიწა-წყალზე. ალჟირი შეუდგა ახალი ცხოვრების მშენებლობას. ჩვენი ქვეყანა საციალისტური განვითარების გზით წავა, განაცხადა პრეზიდენტმა ბენ ბელამ. ალჟირში გატარდა აგრარული რეფორმა, რომელიც გავრცელდა ცხრა მილიონი ნაყოფიერი მიწიდან ექვს მილიონ ჰექტარ მიწაზე.

სურათზე: მედეას რაიონის ერთ-ერთი კოლექტიური ფერმის გლეხები.

ფურცელი 3

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ალჟირის, ორანის, კონსტანტინისა და ალჟირის სხვა ქალაქების მუშებმა თავიანთ ხელში აიღეს ქარხნებისა და ფაბრიკების მართვა. ქარხნებსა და ფაბრიკებში შექმნილია თვითმმართველობის კომიტეტები. ახლა ალჟირში დაახლოებით 500 ასეთი საწარმოა. სახალხო ინიციატივის შედეგად საფუძველი ეყრება ეროვნული ეკონომიკის მომავალ სოციალისტურ სექტორს.

სურათზე: კვების მრეწველობის ერთ-ერთ ნაციონალიზებულ საწარმოში.

# არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა



ფართოვდება და მტკიცდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობა. ჩვენი ქვეყანა დიდ დახმარებას უწევს არაბ მეგობრებს ქარხნების, ფაბრიკების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მშენებლობაში. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი ახალი ეგვიპტის სიმბოლოს უწოდებს ასუანის მაღლივ კაშხალს, რომელიც სსრ კავშირის დახმარებით შენდება.

მძლავრი ნილოსი ახალი კალაპოტით წავიდა



კაშხალის მშენებელთა დაბა.

საქდესის ფოტოქრონიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა



ასობით საბჭოთა სპეციალისტი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემს არაბ მეგობრებს, ხელმძღვანელობს ადგილობრივი კადრების მომზადებას. ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა და არაბ სპეციალისტებს, რომლებიც მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე მუშაობენ.



არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის დახმარებით შეიქმნა ეროვნული ატომური ცენტრი—აფრიკაში პირველი მოქმედი ატომური საკვლევი რეაქტორი.

სურათზე: საბჭოთა მეცნიერები თავიანთ ცოდნას გადასცემენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული ატომური ცენტრის სპეციალისტებს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# განა



ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ეროვნული ეკონომიკის შექმნაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, კულტურის ამაღლებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს განის ხალხი, რომე-ლიც განვითარების გზას დაადგა. მტკიცდება განისა და სსრ კავშირის ყოველმხრივი თანამშრომ-ლობა.

სურათზე: განის დედაქალაქი აკრა.

ფურცელი 7

საქღესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მალი



საბჭოთა თვითმცლელები და ავტოსატვირთავები სასპორტო კომპლექსის მშენებლობაზე

ბამაკოს მცხოვრებლები კვირაობაზე. ისინი აშენებენ სკოლას.



მეხუთე წელია, რაც მალის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მალიში განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი გარდაქმნები. იქმნება ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი. მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საკითხებს. ამ საქმეში ფართოდ არის ჩაბმული მოსახლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიბანი




ლიბანის დედაქალაქი დიდი კონტრასტების ქალაქია. კომფორტული თანამედროვე სახლების გვერდით დგას ღარიბთა ქოხმახები. ლიბანის მშრომელი ხალხი მთავრობისაგან მოითხოვს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებას.

სურათზე: ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი.



# მაროკო



ბევრი კონტრასტია მეორე აფრიკული ქვეყნის—მაროკოს ცხოვრებაშიც. ამ ქვეყნის მთავრობამ აკრძალა კომუნისტური პარტიის საქმიანობა, დევნის პროფკავშირებს. მაგრამ პროგრესულ საზოგადოებრიობას, შედარებით მტკიცე მუშათა კლასს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეუპოვრად იბრძოლონ ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული უფლებებისათვის.

სურათზე: მაროკოს დედაქალაქი რაბათი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზანზიბარი



დიდ რევოლუციურ აღმავლობას განიცდის ზანზიბარის ხალხი. რევოლუციურმა მთავრობამ, რომელმაც ზანზიბარი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა, შეიმუშავა ცხოვრების გარდაქმნის კონკრეტული პროგრამა. ფეოდალთა მიწების კონფისკაციის, კოოპერატივების შექმნის, მსხვილი საკუთრების ნაციონალიზაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი ხალხის მხურვალე მოწონებას იმსახურებს.

სურათზე: 70-ათასიანი მიტინგის მონაწილენი მხარს უჭერენ რევოლუციურ მთავრობას.

ფურცელი 11

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზანზიბარი



ამას წინათ ზანზიბარის ქუჩებში კოცონები დაინთო—დაწვეს რიქშების ურიკები. სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ აკრძალა რიქშების ურიკებით მგზავრობა. გალატაკებულ მოჯამაგირეებს, რომლებიც ალიონიდან გვიან ღამემდე ქუჩებში დარბოდნენ და მდიდრები გადაჰყავდათ, მთავრობა აძლევს ახალ სამუშაოსა და საცხოვრებელ ბინას.

სურათზე: ზანზიბარის ქუჩებში იწვის რიქშების ურიკები.

ფურცელი 12

საქდესის ფოტოქრონიკა

# კონგო (ბრაზავილი)



ამასწინათ კონგოს რესპუბლიკაში (დედაქალაქი ბრაზავილი) ქალაქ ბოკოს მახლობლად აღმოაჩინეს ამერიკული და ბელგიური იარაღი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სამხედრო ქონებაც კი. ეს იარაღი კონგოდან (დედაქალაქი ლეოპოლდვილი) გადმოიტანეს კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა.

შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, ხოლო ნაპოვნი უცხოური იარაღი მოედანზე გამოაფინეს, რათა ყველა მცხოვრები დარწმუნებულიყო იმპერიალისტთა ძირგამომხთრელ საქმიანობაში.

სურათზე: ნაპოვნი იარაღი გამოფენილია ბრაზავილის თავისუფლების მოედანზე.



საქტესის ფოტოქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სომალი



ჰოსპიტალის მაკეტი, რომელიც სომალიში შენდება სსრ კავშირის დახმარებით.

სომალი. ეროვნული კრების შენობა მოგადიშოში.



ახალგაზრდა სომალის რესპუბლიკაში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შენდება ორი ჰოსპიტალი. ჰოსპიტლების არქიტექტურა და დაგეგმარება საბჭოთა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ყოველდღიურად ჰოსპიტლის ამბულატორია მიიღებს 100 ავადმყოფს, ხოლო სამკურნალო კორპუსი გათვალისწინებულია 50 საწოლისათვის.



საქდესის ფოტოქრონიკა

# კენია



კენიელი გლეხი ქალი

კენია სუსტად განვითარებული სა-სოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. აქ საექსპორტოდ მოჰყავთ ყავა, ჩაი, სიზალი და ზოგიერთი სხვა კულტურა. ახალგაზრდა აფრიკული სახელმწიფოს მთავრობა ეხმარება გლეხობას.

ყავის პლანტაციაში.



საქდესის ფოტოქრონიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ზამბია



ზამბიის მთავრობის შენობა.

გასული წლის 24 ოქტომბერს გამოცხადდა ჩრდილოეთ როდეზიის დამოუკიდებლობა. ამ ქვეყანამ მიიღო ახალი სახელწოდება—ზამბია. ხალხის მასები უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ცნობას, რომ პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებულმა პარტიამ. შეიქმნა მთავრობა, რომლის ყველა მინისტრი აფრიკელია.

კოკისპირული წვიმის მიუხედავად ლუსაკის მცხოვრებლები არ იშლებიან და ელოდებიან არჩევნების შედეგებს.





საქდესის ფოტოქრონიკა

# ზამბია



ახლა აფრიკის კიდევ ერთი ახალგაზრდა სახელმწიფო დაადგა ნამდვილი დამოუკიდებლობის გზას. სიხარულითაა აღსავსე ზამბიელთა გულები. სურათზე თქვენ ხედავთ ჯონგას სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც აფრიკულ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ასრულებენ ეროვნულ მელოდიებს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგომეა



დაგომეის დედაქალაქის პორტო ნოვოს ერთ-ერთი ქუჩა.

სულ ხუთი წელია, რაც დაგომეამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. პირველ წარმატებებს მიაღწია მან ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებაში. დაგომეა პალმის ზეთის უდიდესი ექსპორტიორია. საპარფიუმერიო, საპნისა და კვების მრეწველობისათვის განკუთვნილი ეს ძვირფასი ნედლეული შეადგენს დაგომეის მთელი ექსპორტის სამ მეოთხედს.



უიდახის ზეთსახდელი ქარხნის მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უგანდა




უგანდის დედაქალაქის კამპალის ცენტრალური ქუჩა კამპალა როადი.

სულ ახლახან აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახს შეემატა უგანდა. უკან დარჩა ინგლისელთა კოლონიური ბატონობის 68 წელი. ხალხმა ხელი მოჰკიდა კოლონიური მემკვიდრეობის ნაშთების ლიკვიდაციას. უგანდის ეროვნული პროდუქციის ორ მესამედსა და ექსპორტის 90 პროცენტს შეადგენს ყავა და ბამბა, ჩაი და თამბაქო, ბანანი და ზეთოვანი კულტურები. უგანდის მთავრობა სახავს მრეწველობის განვითარების გზებს. დაიწყო რამდენიმე ფაბრიკის მშენებლობა.





საქდესის ფოტოქრონიკა




ნიგერიის რესპუბლიკა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, რომელსაც პრიმიტიული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა აქვს. ფრანგმა კოლონიზატორებმა მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვეს რესპუბლიკას. აქ არის თანამედროვე მრეწველობა. ხელოსნები კუსტარულ სახელოსნოებში ამზადებენ ქსოვილებს, ტყავის ტომრებს, პორტფელებს, ჩემოდნებს, სპილენძისა და ვერცხლის ნაწარმს.

სურათზე: სამკერვალო სახელოსნო ქალაქ ნიამეიში.

ფურცელი 20

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონგო (ლეოპოლდვილი)



ჩომბეს დაქირავებულებს ორი კონგოელი პატრიოტი მიჰყავთ დასახვრეტად.

კონგოელი ხალხი წმიდად ინახავს აფრიკის დიდი შვილის პატრის ლუმუმბას ხსოვნას. ეს ღია ბარათი, რომელიც კონგოში გამოვიდა, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებს ხალხს.




მთელი მსოფლიოს ყურადღება კვლავ მიპყრობილია კონგოს რესპუბლიკისაკენ (დედაქალაქი ლეოპოლდვილი). იმპერიალისტთა ლაქიამ ჩომბემ ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა, ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს გამარჯვების საშუალება არ მისცეს სახალხო მასებს. მაგრამ კონგოელი პატრიოტები გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონგო (ლეოპოლდვილი)

კონგოელ აჯანყებულთა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიზ ჩომბე თეთრკანიან დაქირავებულთა ხროვას ქირაობს. ფულის გულისათვის ისინი მზად არიან ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინონ. დაქირავებული მკვლელები კონგოში ჩამოდიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, სამხრეთ როდეზიიდან, ინგლისიდან, დასავლეთ გერმანიიდან, საფრანგეთიდან.



დაქირავებულნი ინსტრუქტაჟს გადიან.



თეთრკანიანი არამზადა უთვალთვალებს კონგოელი გლეხის „საეჭვო" ქოხს, საიდანაც იცქირებიან შეშინებული ბავშვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ანგოლა და მოზამბიკი





მიწა იწვის კოლონიზატორთა ფეხქვეშ. ანგოლისა და მოზამბიკის ხალხები აღსდგნენ, რათა მოიპოვონ დამოუკიდებლობა, გათავისუფლდნენ ექსპლოატატორთა ჩაგვრისაგან. პორტუგალიელი კოლონიზატორები მხეცურად უსწორდებიან მოსახლეობას—ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. აი იმ სოფლის სურათი, რომელიც დამსჯელებმა დაარბიეს. ეს ბავშვიანი ქალები იძულებული არიან პორტუგალიელ ჯარისკაცებს გაექცნენ მეზობელ ქვეყნებში.

# ომანი




ომანი დიდი ბრიტანეთის პროტექტორატია არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი მდიდარია ნავთობით და თითქმის სრულებით არა აქვს მტკნარი წყალი. ყოველდღე ქალაქ აბუ-დაბის სადისტილაციო ქარხნიდან (სურათზე) მიაქვთ დაახლოებით 25 ათასი გალონი (გალონი დაახლოებით 4,5 ლიტრია) გამტკნარებული წყალი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა



„ვიყოლიოთ ზანგები მორჩილებასა და შიშში"—ასეთია რასისტთა ძველი წესი. მაგრამ ახლა ისინი იძულებული არიან იეშმაკონ და მეტი პირფერობა გამოიჩინონ, ვიდრე ოდესმე. აი რატომ ამზადებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ზანგ პოლიციელებს. მათ ასწავლიან, თუ როგორ სცემონ დემონსტრანტებს ხელკეტებით, დაადონ ხელბორკილები, დაარბიონ მიტინგები.

„შავი სამუშაო შავკანიანთა ხელით შევასრულოთ", „ერთმანეთს მივუსიოთ ზანგები"—ასეთია XX საუკუნის რასისტთა „სიბრძნე"

სურათზე: აი ისინი, სამხრეთაფრიკელი ზანგი პოლიციელები წვრთნის დროს.



საქდესის ფოტოქრონიკა